



თ ა ნ ი კ ი ა ლ ი ს თ ე რ ა მ ა ნ ი ს თ ე რ ა მ ა ნ ი ს
თ უ მ ა ნ ი ს თ ე რ ა მ ა ნ ი ს თ ე რ ა მ ა ნ ი ს თ ე რ ა მ ა ნ ი ს

Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა

2015



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2016

ქაფო იქა, ვეპილი აქა ანუ ეს და ოს

ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირები:

ეს

ის

ვიდაც

ეს-ის ცოლი

მოსამართლე

ხვლიკი

სცენაზე ხროუე არემარეა, აქა-იქ – დაგვაჯული ხეები.
ერთ-ერთ ხეზე ორი ძახინჯი, უცნაური ფრინველი
შემომჯდარი. მოშორებით ჩანს ჭა და ძველი, დაგრეხილი
ოწინარი. უზარმაზარი ლოდის უკან ეს მიწოდილია.
შიგადაშიგ თოვს გადატენის და პაერში გაიხრის,
ხანდახან ხელუკულმაც... სცენის მეორე ბოლოში
ასეთივე ლოდის უკან ის ს საპახულო გაისცრის
ხოლმე. ხეზე შემომჯდარი ფრინველები ხროლის ხმაზე
მხოლოდ შეფრთხიალდებიან, მაგრამ არ მიფრინავენ.

ეს: ახლა პაპიროსიც რომ მქონდეს, მოლად კარგი იქნებოდა...
(გაიზმორება) ესენი აქ არიან უკვე (ფრინველებზე) და
შენ სად ხარ, ბიჭო? (მიიხდა-მოიხდავს, ხელიკს უდებს)
იგვიანებ, ხო იცი... უშ! დღეს მაგარი სიცხე იქნება...
(გაისცრის) ჰოდა, ვიქნები აქ გვიანობამდე (გაისცრის).
კი მეუბნებოდა ის ჩემი ცოლი, რადაც გადამატანინეო
თუ გადმომატანინეო... არ მახსოვე... იზამენ რამეს!..
ამოვიდა ყელში! მეყო, რა, მეყო, რაც ოფლი ვდვარე
ოჯახისთვის!.. ახლა კიდევ სისხლს ვდვრი (ჩაიცინებს),
მეტი რა ვქნა?!.. (ფრთხილად გაიხდავს ის ს-ისკებს) რა
სჭირს? რაღაც მოუკლო სროლას... ხომ არ მობეზრდა,
ნეტა, ა?.. დამნებდა, ვითომ? ამას წინათ გავიგონე, თავის
ცოლს ეუბნებოდა, მაგას ვაჩვენებ სეირსო... ამ ამბავზე
ლაპარაკობდნენ ალბათ... ის ეხვეწებოდა – მოშვი,
დაუთმეო... ამან – რას მეუბნები, მაგას შევარჩენო?..
(ჩაიცინებს) ჭა არა, ის კიდე! ჩემი არ იყოს, მაგასაც
აქ ურჩევნია ყოფნა... (გაიხდავს. ის ს-ის „სანგრიდან“
ბოლი ამოდის) ეწევა ბიჭი! მე ტყვიები ვიყიდე ბოლო
ფულით, მაგან, ეტყობა, პაპიროსი ამჯობინა... (ხელიკს)
მოხვედი? მოდი, მოდი... გელოდებით... (ნამცველებს
უკრის) მოდი, მიეფიცხე აგერ მზეს... ნუ გეშინია, შენს
თავს ამათ (ფრინველებისკენ) არ დაგაჩვრინებ...

სცენა წამიერად ლურჯად განათდება და ჭახთან, ის ს-ის
მხრიდან, კიღაც გაჩნდება. დაკვირვებით ათვალიერებს
ჭას.

ეს: (თავს ამოჟყოფს სანგრიდან) რა ხდება აქ? (დაინახავს
კიღაცას, რომელიც ის ს-ის მხრიდან მოდის) ეს ვინდაა?

აქ რა უნდა? (თავისი სანგრიდან ი ხ-იც ამოძღვება თოვმომარჯვებული, ვიღაცას გახედავს, მერე კ ხ-ისკენ გაისცრის და ჩაიმალება. ვიღაც ი ხ-ისკენ არც გაიხედავს, ცოტა ხნით შეყოფმანდება, მერე კ ხ-ისკენ წამოვა).

ეს: (ვიღაცას) მანდ გაჩერდი და ნაბიჯი არ გადმოადგა! (ვიღაც მაინც მოდის) არ გესმის შენ? (კ ხ თოვს გადატენის, უნდა გაისროლოს, მაგრამ იარაღი არ გავარღება. ვიღაც მოდის. კ ხ ისევ ცდილობს ესროლოს, არაფერი გამოხდის. ი ხ გამოძღვება თავისი სანგრიდან, რამდენჯერმე გაისცრის და ისევ შეიმალება. კ ხ იარაღის გადატენებას კურარ ახერხებს და იღანძლება, თოვს დააგდებს, დანას ამოღებს, მაგრამ დანა უვარღება და თვითონაც წაიქცევა) შენი... ვინ ხარ, ვინ? (ის-ისკენ) უნამუსო! (ი ხ ისევ რამდენჯერმე გაისცრის - კ ხ რაც მეტე უკირის, ი ხ მეტად ისცრის) ეგრე, არა? შენი... (თავისთვის) ხედავ, რა გააკეთა? ეს ვინ ყოფილა! მართლა მბრიდავს ამ დამპალი ჭისთვის ეს ნაბიჭვარი... (ვიღაცას) ვინ ხარ, ვინ? რა გინდა ხემგან? არ მომეკარო, არ მომეკარო-მეთქი, თორემ შუბლს გაგიხვრებ! (იარაღს აწვალებს, არაფერი გამოხდის)

ვიღაც: მორჩი, ერთი, თუ მმა ხარ! (მიუახლოვდება, იარაღს გამოგლეჯს და მიაგდებს) რა ამბავია აქ?

ეს: მაჯობა იმ შობელძაღლმა, ჭკუაში მაჯობა! (დრიალებს) ეე, ბიჭოოო!.. ეეეე! ეგრე არა ვართ!!! (დაუძმხობა მიწაზე, მოიკუტებება, ხელიყი მიუხრიალებება) შენ სადღა მოდიხარ? წადი, წადი, დაიმალე... (მერე ქვეშ ქვეშ დაკვირვებით შეათვალიერებს ვიღაცას) მე როგორ ვერ მოვიფიქრე... მათხოვარი ეძახე, და აგერ, ამის დასაქირავებელი ფული კი ჰქონია... იდიოტი ვარ, სუფთა იდიოტი! როგორ ვერ მოვიფიქრე... თურმე სულ სხვა ჰქონდა ჩაფიქრებული და მე კიდევ, სულ სხვა რამე მეგონა... ვინაა ნეტავ? აქაურს არ ჰგავს... სულაც არავის და არაფერს არ ჰგავს... უიარაღოდაა... როგორ მიყურებს... (ისევ თოვისკენ გაიწევს)

ვიღაც: მორჩი-მეთქი!

ეს: იმან მოგაგზავნა, ხომ? რამდენი გადაგიხადა? ორჯერ
მეტს მოგცემ და წადი, ის მოკალი!

ვიდაც: მიგაგზავნა... მოგაგზავნა... არავის მოვუგზავნივარ,
ჩემით მოვედი, სალაპარაკოდ. ნუ გეშინია, არაფერს
დაგიშავებ.

ეს: არაფერს დამიშავებ? აბა, მარტო სალაპარაკოდ
გამოგაგზავნა?

ვიდაც: არავის გამოვუგზავნივარ-მეთქი, ვერ გაიგე?

ეს: აბა აქ საიდან გაჩნდი?

ვიდაც: მე მინდა გავიგო, გავერპვიო მინდა...

ეს: შენ საქმე არ გაქმს, ვიღაცა ხარ?

ვიდაც: ჩემი საქმე ესაა...

ეს: საიდან ხარ, პოლიციიდან?

ვიდაც: რა პოლიცია...

ეს: ჩემთან რატომ მოხვედი მაინცდამაინც? ჩემგან რატომ
დაიწყე?

ვიდაც: ვინმესგან ხომ უნდა დამეწყო?

ეს: ჰოდა, იმასთან წადი, იმისგან დაიწყე...

ვიდაც: ადექი და ისე მელაპარაკე!

ეს: არ ავდგები, არა! ავდგები და ის ეგრევე ტყვიას
დამაჭედებს შებლში და მერე შენ არჩენ ჩემს ცოლ-
შვილს?

ვიდაც: ჰო, ცოლ-შვილიც გყავს!

ეს: მყავს, აბა არ მყავს? და ჩემით უდგათ სული!..

ვიდაც: აბა, ბიჭო! აღარ ხარ ოჯახზე დარდიო!

ეს: რა იცი შენ?

ვიდაც: შენ მთელი დღე აქ გორაობ...

ეს: მერე? მაგათოვის არ ვთრუნავ? მოვაგვარებ ამ წყლის
საქმეს და... მერე დანარჩენს მივხედავ... ჩემგან რა
გინდა? ისიც აქ არ გდია? თუმცა იმას რა ენაღვლება,
ძალლთოდენი არიან თჯახში ისინი დილიდან
საღამომდე ვირებივით მუშაობენ, ეს გდია აქ ჩრდილში
მთელი დღე, სვამს და აბათქუნებს თოფს... მივა მერე
საღამოს სახლში, დაერევა იმ უბედურებს და სულს
ხდის ცემაში... ცუდი კაცია ის... ძალიან ცუდი...

ვიდაც: შენ?

ეს: რა მე?

ვიდაც: შენც მთელი დღე აქ გორაობ ჩრდილში, აბათქუნებ
თოფს, სვამ, მიხვალ მერე სახლში, დაერევი ცოლ-
შვილს...

ეს: აბა, კი! მე არ ვცემ! ისე მაქვს საქმე დაყენებული,
არ სჭირდებათ ცემა! ათასში ერთხელ თუ წავუთაქებ,
წყობიდან რომ გამომიყვანენ... ისიც ისევ მაგათავის...
ცხოვრებას რომ გაუმკლავდნენ... ზარმაცი ქალი
შემხვდა... მოუქნელი... ბიჭია და - ხელის განძრევა
ეზარება... ჩრდილში გორაობა ურჩევნია... ოჯახში საქმე
ბევრია... მე მთელი დღე აქ ვარ...

ვიდაც: აქ გორაობას, წადი სახლში და მიხედე ოჯახს.

ეს: მერე, იმან ჩაიგდოს ეს ჭა ხელში, არა? გგონია, ეს
ნაელები საქმეა? მე სამართლიანობისთვის ვიბრძი!
ვინმექ ხომ უნდა იბრძოლოს სამართლიანობისთვის?

ვიდაც: ეს ჭა არც ერთის არაა...

ეს: მე პირველმა ვიპოვე!

ვიდაც: ერთდროულად იპოვეთ!

ეს: მოგიყვა უკვე? ერთდროულად დავინახეთ, მაგრამ
მე დავასწარი მისვლა... ამიტომ ჩემია! ესაა
სამართლიანობა!

ვიდაც: სამართლიანობა არ ნიშნავს, რომ შენ მართალი
ხარ!

ეს: არც იმას ნიშნავს, რომ ისაა მართალი!

ვიდაც: (პათუტიკურად) ამისათვის სასამართლოა და
მიმართეთ სასამართლოს!

ეს: სასამართლოს?.. რა სასამართლოს? რომელ
სასამართლოს?

სადღაც ზემოთ განათდება მაგიდა, დაზინული
საქალალდევებით, გარშემო, ქვეშ უკველვან ხაქალალდევებია.
მოსამართლის მანტიაში გამოწყობილი აღამიანი, პირში
მბოლავი ხიგარით, ინდივიდუურებული სახით იქმქმა
საქალალდევებში.

მოსამართლე: (უუმუციოდ) კი, ბატონო! თქვენი უფლებაა,
მოგგმართეთ და სამართლიან გადაწყვეტილებას
მიიღებთ... აი, სწორედ ახლახან მივიღე მორიგი

სამართლიანი გადაწყვეტილება... ოდონდ... არ ვიცი, სად წავიღე... მივიღე და წავიღე კიდევაც... აგერ... არა, ეს ჯერ არ მიმიღია... აი... არა, არც ეს... სად წავიღე, კაცო?.. ერთი წუთით, ერთი წუთით... (იქვექბა ქაღალდებში) სჩანს, მივიღე და გავეცი კიდევაც... გაცემულია ნამდვილად, თორემ სად წავიღოდა? და თუ გაცემულია, (აგრძელებს ძებნას) აქ როგორდა იქნება? არ იქნება აქ! პოდა, ლოგიკურად, თუკი გაცემულია, აუცილებლად იქნება მიღებული - გადაწყვეტილებას ვგულისხმობ... და თუკი გადაწყვეტილება მიღებული და გაცემულია, სამართლიანი იქნება!.. ჰო, მოგვმართეთ და ჩვენ სამართლიანად გადაგწყვეტთ... კანონის შესაბამისად... ჰო! მივიღებთ! პოდა, გავცემთ! ჰო! (დაძნელდება)

ეს: ჩვენთან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა! თანაც... ჩემთვის იქნება ეგ გადაწყვეტილება სამართლიანი? იქნებ იმისთვის იყოს?

ვიდაც: როგორც კანონი გადაწყვეტს! კანონი ყველასთვის ერთია!

ეს: ეგრე არაა... კანონი ერთია, მაგრამ ყველასთვის სხვადასხვანაირი...

ვიდაც: აბა, რას ამბობ?!

ეს: ვა! მე თუ არ მაწყობს, ეგ რანაირი კანონია? რად მინდა ეგეთი კანონი? არ მირჩევნია, ტყვიამ გადაწყვიტოს?

ვიდაც: (დაციინგით) უფრო სწრაფად იქნება, ვითომ?

ეს: ეგ უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

ვიდაც: (დაციინგით) და... იმან რომ გაჯობოს?

ეს: ვერ მაჯობებს, მე უკეთ ვისვრი!.. ჰო, რა იყო, რა გაციინებს? იმაზე უკეთ მაინც ვისვრი... და საერთოდ, ვინ გკიოთხავს შენ? რას დამადექი თავზე? მაყბედებ აქ სისულელეებზე... ხვლიკი დამიფრთხე...

ვიდაც: ჰო! ხვლიკი სულ დამავიწყდა! მაგ ხვლიკმა გაპოვნინა, არა, ეს ჭა? (ჩაიცინებს)

ეს: ახლა ხვლიკს გადასწვდა?! რას გადამეკიდე, ვიღაცა ხარ? წადი შენ გზაზე...

ვიდაც: სად ნახე აქ გზა?

ეს: წადი, საიდანაც მოსულხარ! საიდან მოხვედი, ისე?

ვიდაც: (ე ს-ს მიუკაკუნებს შებლზე ხელს) აქედან!

ეს: (სავარაულოთან დაიტრიალებს თითხ) ვერა ხარ, ხო?

ვიდაც: (ჩაიცინებს) იმასთან წავალ ახლა! (მიბრუნდება
წახახვლულად)

ეს: ეგრე რა, შე კაი ადამიანო, ეგრე რა! პო!.. და უთხარი,
ჩემია ეს ჭა და შემეშვას!

ვიდაც: (მოტრიალდება) ჭა, პო, ჭა! ჭა გადარდებთ,
ვითომ?

ეს: აბა, რა მადარდებს?

ვიდაც: მეგონა, მე მაინც გამომიტყდებოდი...

ეს: არაფერი არ მაქვს მე გამოსატყდომი!

ვიდაც: კარგი, იყოს მაშინ ჭა!.. ისე, რატომ არ შეიძლება,
ორივემ ისარგებლოთ ამ ჭით?

ეს: ეგენი ბევრი არიან, ჩვენ – ცოტა! სად ვაკონტროლო
მე, ვინ რამდენ წყალს მოიხმარს?

ვიდაც: ნუ აკონტროლებ – სადამდეც გეყოფათ, იხმარეთ...
ამასობაში ახალი ჭა ამოთხარეთ...

ეს: აბა, შენა ხარ, რა? და რა ძალა მადგას? მარტო მე და
ჩემს ოჯახს უფრო დიდხანს გვეყოფა ეს წყალი, იქნებ
არც დამჭირდეს ახალი ჭის გათხრა, სანამ ცოცხალი
ვარ! იქნებ ჩემს შვილებსაც კი ეყოთ... ოჯახზე არ
ფიქრობო, არ ზრუნავო, მეუბნები. აბა, რას ვშვრები?
(ხელიკებ) მოდი, ბიჭო, მოდი! ამის ნუ გეშინია, იმათი
გეშინოდეს... (ფრინველებზე). (ფილაცას) მოვიდა! რა
ლამაზია, ხედავ? და უშიშარი... გამოვზარდე!

ვიდაც: შვილი?

ეს: რა შვილი?

ვიდაც: შვილი გამოგეზარდა.

ეს: შვილი იზრდება!

ვიდაც: ხვლიკი იზრდება! შვილი უნდა გამოზარდო!

ეს: რა გინდა, კაცო, შენ? რას გადამეკიდე?

ვიდაც: შენი შვილი ხედავს, რომ ყოველდღე ვიდაცის
მოსაკლავად მიდიხარ... სახლში დედასთან რჩება და
ორივე დილიდან საღამოდე მუშაობს... შენი ცოლ-
შვილი ელოდება, როდის მოკლავ, ან მოგკლავენ... და
შენი შვილი სწავლობს, რომ მხოლოდ ომით შეიძლება

საქმის მოგვარება... იმისი შვილებიც ამას სწავლობენ.. ასე იზრდებიან თქვენი შვილები! შენ კი „ხვლიკი გამოვზარდე“-ო...

ეს: სად ხვლიკი და სად ჩემი შვილი! მე იმას ცუდს არაფერს ვასწავლი! პირიქით! ვასწავლი, რომ თავისი უნდა გაიტანოს! ომი ცუდია, რა თქმა უნდა! ვინ ოხერი გედავება! მაგრამ, ეს რა ომია? ჩვენ ჩვენთვის ვარკვევთ ჩვენს საქმეს...

ვიდაც: შინაურული საქმეების ასეთი გარკვევით იწყება ხოლმე ომები...

ეს: (ვაღიაზიანებული) რა ომები, რის ომები... ისე, ამ ჩემს ხვლიკს რას გადაეკიდე?

ვიდაც: შენი ხვლიკი ხედავს, რომ თუ შენს გვერდით იქნება, ხვლიკიჭამია ფრინველები ვერაფერს დაუშავებენ! შენ გამოზარდე ხვლიკი, რომელსაც სროლის ხმა არ აფრთხობს, მაგრამ ხვლიკიჭამიებსაც არ აფრთხობთ სროლის ხმა! ისინიც გამოზარდე შენ!

ეს: ეხლა შენ ნუ გადამრევ! რა ტენის მიმღვრევ, ისედაც ცხელა... მომეშვი, დამანებე თავი! ჩემი საქმის მე ვიცი! არავის მოუწვევისარ აქ მომრიგებელ მოსამართლედ.

საღლაც ზემოთ ისევ ვანათლება მაგიდა, დაზინდული საქალალღებით.

მოსამართლე: ჩვენ მოწვევა არ გვჭირდება! განცხადებით უნდა მოგვმართოთ! აგერ ახლახანს შემოვიდა განცხადება მოქალაქე... ეეე... და მივიღეთ ეს საქმე! უპრობლემოდ... მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას! სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებთ! კანონიერ გადაწყვეტილებას! მოგვმართეთ და ჩვენ გადავჭრით თქვენს დავას კანონის შესაბამისად! როგორც ახლახანს გამოვიტანეთ გადაწყვეტილება... აგერ, ბატონო... სად ჯანდაბაში წავიდე ეს გადაწყვეტილება?...

ეს: რად მინდა, ახლა მე ამის კანონი? ამას მიღებული გადაწყვეტილება ვერ უპოვნია და მე რომ მაწყობს, იმ კანონს იპოვნის?.. დამანებე, თუ კაცი ხარ, თავი! ამანაც დამანებოს და შენც წადი შენს გზაზე! ჩვენ თვითონ გავარკვევთ ჩვენს საქმეს და თუ საჭიროა, სისხლსაც დაგლვრით!

ვიდაც: ჭისთვის, კაცო, ჭისთვის?

ეს: არა, ბიჭო, თავზე დავისვამ ვინმეს! მოვიდა აქ ჭკუის დამრიგებელი... გამოზარდე, გადაზარდე! მართლა კი არ ვხოცავთ აქ ჩვენ ერთმანეთს! რა, მე მინდა სიკვდილი თუ იმას ეხალისება გულზე ხელების დაკრეფა? საქმეა ესეც! რა გესმის შენ!

ვიდაც: აი, ეგ მინდოდა, სწორედ! ამის მოსმენა მინდოდა! საქმეს თქვენ ეძახით – შენ და ის, მეორე! სინამდვილეში, ერთობით, დრო გაგყავთ...

ეს: გართობაა ეს? ცოცხალი დავბრუნდები თუ არა სახლში, არ ვიცი?

ვიდაც: აბა?! იმიტომ ისერით პაერში შენც და ისიც!

ეს: დამანებე, თუ მმა ხარ თავი, რას შემომიჩნდი?

ვიდაც: ახლა მე მასთან წავალ და...

ეს: ეგრე რა! მიდი, მიდი... მოელაპარაკე... დამანებოს თავი და მე ვიცი შენი პატივისცემა... მე – რა? კი არ მეხალისება აქ დილიდან საღამომდე მიწაზე ხოსიალი და სროლა... ტყვია-წამლის ხარჯი მაქვს, თოფი მიცვდება ხმარებაში, ტანსაცმელი იხევა ამ ქვა-ღორდში, საჭმელ-სასმელი აქთ უნდა მიზიდოს ქალმა – საქმეს მოცდეს... აგრ, შვილის გაზრდა დამიწუნე კიდევ... მიდი, თუ მმა ხარ, მომიგვარე ეს ამბავი! აღიაროს, რომ ჩემია ეს ჭა და ეგ იქნება საქმის სამართლიანი მოგვარება!.. ხმის ამომდები არ ვარ მერე და ტყვის გამსროლი! ვიმეზობლებთ წესიერად... „მობრძანდი-დაბრძანდის“ მეტს არაფერს ვეტყვი, გვექნება კაი „გამარჯობა“ და მისვლა-მოსვლა... ვუმასპინძლებ, როგორც შევძლება...

ვიდაც: (არ უხმებნს, მძღის) ჯერ არ დამიმთავრებია შენთან... მოვბრუნდები ისევ...

ეს: აბა რა, აბა რა... მოელაპარაკე და ჩემი თავი გეხაცვალოს... ვინ ოხერი... რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ერთი ნახევრადდამშრალი ჭა!.. რა თავში იხლის? პრინციპის ამბავია, თორემ ყოვლად გამოუსადეგარი რამეა... (თავისთვის) ჩრდილები და სიგრილეში რომ არის, იმიტომ მეხალისება უფრო აქ მოსვლა, თორემ ზამთარში, სიცივეში და უბედურებაში აქ ვეხის

მომდგმელი მე არ ვარ!.. (ვიღაც მიღის. ეს თავისთვის
ლაპარაკობს) ვინ არის, საიდან მოეთრა!.. ვინ ეკითხება...
მაგას ვაბარებ, ახლა, ანგარიშს რა და როგორ... ის
ქალი სადღა დაიკარგა, სადაა აქამდე, შობელძაღლი?
კი არ იფიქრებს, მოშივდებოდაო... მე აქ სისხლს ვდვრი
მაგათი კეთილდღეობისთვის და მაგათ საჭმლის მოტანა
ეზარებათ!.. მოიცა, მოვიცლი თქვენთვისაც...

შემოდის ცოლი კალათით. წელში მოხრილი – პრმა ტყვიას
ერიღება.

ცოლი: აღარ ისვრით? მოკალი?

ეს: სად ჯანდაბაში ხარ ამდენ ხანს?

ცოლი: საქმე მქონდა..

ეს: საქმე ჰქონდა... იზლაზნები დილიდან... მოდი, დროზე...
აქ დააწყვე... რა არის ეს? ხორცი ვერ წამოიღე? დვინო...
რამე... მიდი ახლა, გავარდი სახლში, დატრიალდი,
სუფრა გაშალე... შეიძლება სტუმარი მოვიყეანო...

ცოლი: რა სუფრა გავშალო?! რით გავშალო?! რა
სტუმარი!?

ეს: ჩაიგდე-მეთქი ენა და მიდი, საქმეს მიხედე... დაკალი
რამე...

ცოლი: რანაირად ლაპარაკობ? მზემ ხომ არ დაგკრა?

ეს: დაგკრავ მე შენ...

ცოლი: რა მოხდა, აღარ იტყვი?

ეს: რა და... ისეთი პირი უჩანს, ეს წყალი ჩვენ
დაგვრჩება...

ცოლი: მოკალი?

ეს: მოკლავ მაგას... კი, როგორ არა...

ცოლი: აბა დათმო?

ეს: მოგარიგებოთ...

ცოლი: ვინ?

ეს: რა ვიცი, ვინ... ვიდაცა მოვიდა და... მოგარიგებოთ...
ჩემთან მოვიდა! იმიტომ რომ მე მართალი ვარ! იმასთან
კი არ მივიდა, ჩემთან მოვიდა ჯერ! ესე იგი მე ვარ
მართალი!

ცოლი: მერე, რას ითხოვს სანაცვლოდ?

ეს: არაფერს არ ითხოვს... არაფერი უთქვამს... (დაიბნევა)

ნუ ხოცავთ ერთმანეთსო და... მოგარიბებთო... რა ვიცი,
არაფერი მოუთხოვია...

ცოლი: ისე არავინ არაფერს აკეთებს... თავისთვის ხომ არ
უნდა ეს წყალი?

ეს: თავისთვის?.. (ჩაფიქრდება) რა თავისთვის! ნუ ბოდიალობ
რადაცებს... შენ რომ რამე ისეთი არ თქვა, ხომ არ
შეიძლება... მოვიდა კაცი... თუ რა ვიცი, ვიდაცა, აქაურს
არ ჰგავს... საიდანაა, არ ვიცი... ზემოდანაა... კი, კი,
ზემოდანაა... ზემოდან ხომ ყველაფერი ჩანს... იქნებანაა,
კი...

ცოლი: რამდენი დალიქ?

ეს: (თავის ფიქრებშია) ჰა?

ცოლი: (იქვე მიღვმუდ დოქს აიღებს ხელში, შეანჯლივებს)
დაგიცლია... (გამოაჯავრებს) ზემოდანაა...

ეს: ენა გააჩერე შენ, არ გამომტყურ რადაცა! ჯერ მზებ
დაგერაო, ახლა დაგილევიაო!.. აგერ, მოდის... მოდის...
გუუბნებოდი, ჩვენ დაგვრჩება ეს ჭა-მეთქი... აპა!

ცოლი: რაში შეატყვე, მიხვრა-მოხვრაში? (ხელიკ
გამოძრება) ფუჟ! სულ გულს მიხეთქავს... წადი
აქედან!

ეს: დაანებე თავი!.. (ხელიკ) მოდი, მოდი...

ცოლი: (ზიზღით უურებებს) ეგ გუავდეს კარგად...

ეს: (ცოლი) მიდი აქედან!

უახლოედებათ ვიღაც.

ვიღაც: (ცოლი) გცემს ხოლმე?

ეს: ეგ რა შუაშია ახლა აქ?

ვიღაც: (არ აქვევს უურადდებას) გცემს ხოლმე?

ცოლი: თქვენ ჭის საკითხი მოგვიგვარეთ, ბატონო და...
დანარჩენი მოგვარდება თავისით...

ვიღაც: რატომ არ მაპასუხობ? რატომ ითმენ?

ცოლი: რაც მოსათმენია – ვითმენ... რაც არა და... აგერ,
ვიბრძიოთ, ბატონო!

ეს: შენ ის თქვი, იმან რაო, კიო?

ვიღაც: არაო!

ეს: არაო?.. არაო-რაო?

ვიღაც: ჩემია ეს ჭა და შემეშვასო!

ეს: ეგ ხო მე პირველმა ვთქვი?!

ვიდაც: ისიც ეგრე ამბობს... ოღონდ მეორე!

ეს: ეგ ბევრ რამეს იტყვის და ეგრე სადაა...

ვიდაც: ისიც ეგრე ამბობს...

ეს: პირველ-მეორე, უფროსი და უმცროსი აღარ არსებობს
ამ ქვეყანაზე? სამართალი აღარ არის ამქვეყნად?

ვიდაც: თქვენ სამართლიანი მხოლოდ თქვენთვის სასურველი
გვონიათ და ეგრე არაა...

ეს: აბა, სხვისოთვის სასურველი რატომ მეგონება? რაც
სწორია, ისაა მართალი! ხოდა, მე რომ ვამბობ, ისაა
სწორი!

ვიდაც: ისიც ეგრე ამბობს... ეერ გადაგათქმულინე... თუ
მართლა ჭავ მიზეზი და წყლის გულისოთვის ხოცავთ
ერთმანეთს, სხვა გზა არაა – ერთად უნდა ისარგებლოთ
ამ ჭიო!

ეს: გამორიცხულია ეგ! მაგის ცოლთან ზიარი წყალი
კი არა, ცა არ უნდა ამას!!! ქარაფშეტა და შტერი
დედაკაცი ეგ! საიდან გავიგებ მე, რაში და როგორ
დახარჯავს ამ წყალს? (ცოლის) ჰა, ამოიდე ხმა!

ვიდაც: (ცოლის) მართლა ასე ფიქრობ?

ცოლის: რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ბედავს და
უხერხულიად იშმუშება.

ცოლი: იმან დათმოს, ბატონო!

ეს: აჲა, ესეც მე ვარ?

ვიდაც: ერთად იხმარეთ ეს წყალი! თან ახალი ჭა ამოთხარეთ
ერთად... აქ, სანგარში ფორთხიალს და ერთმანეთის
ხოცვას, არტეზიული ჭა ამოიდეთ... ალტერნატიული
წყარო ექვეთ... რეზიუმეური გააკეთეთ, ბოლოს და
ბოლოს, წვიმის წყლის შესაგროვებლად... იყავით
კრეატიულები, დინამიურები... მაგრამ პირველ რიგში
კონსესუსამდე უნდა მიხვიდეთ!!!

ეს: (ცოლის) გითხარი, აქაური არაა-მეთქი, გითხარი?
ზემოდანაა-მეთქი... შენ კიდევ – „რამდენი დალიე“!

ცოლი: ეგ ძნელი სიტყვები მე არ ვიცი... მე მარტო ის ვიცი,
ეს ამბობს, რომ წყალი ჩვენია, რომ იმას მოკლავს და
მაშინ იქნება ყველაფერი სწორი!..

ვიდაც: „მოკვლა“ სწორი არ იქნება არასდროს!

ცოლი: (კ ს-ს ჩუბად) აკი ჩემსკენააო?

ვიდაც: (ცოლის) შენ იმუშავე დილიდან დამემდე თავჩახრილმა და ითმინე! ხმას რატომ არ ამოიღებ? რატომ არ იკივლებ, იწივლებ, არ დალეწავ ყველაფერს? რატომ არ იტყვი, რომ არაფერში გჭირდება ეს დამპალი წყალი, რატომ არ იბრძოლებ ამის ოჯახში დასაბრუნებლად?

ეს: რა გინდა, კაცო, შენ? ვინ ხარ, რას გადაგვეკიდე? წადი და იმას ელაპარაკე ეგრე, მე რა დაბალი ლობე მნახე? ვინ დაგავალა ჩვენი მორიგება? ჩვენით ვერ მივხედავთ ჩვენს საქმეს? მაგდენ ლაპარაკს მიდი, მეორე ჭა ამოგვითხარე, როგორ თქვი? რადაცნაირზიული, წყარო მოგვიძებნე, ან ის რაღაცა გაგვიკეთე წვიმის წყლის შესაგროვებლად!...

ვიდაც: ხვლიკიც ხომ არ დაგიკოცნო, ამ ყველაფერს რომ მოვრჩები?...

ეს: ხვლიკს თავი დაანებეთ ყველამ!!! რომ მოდიხარ და ჭაუას გვარიგებ... ჩვენთვის თუ სიკეთე გინდა – ასე უნდა მოიქცე, თუ არა და ტყუილად ენის რაგუნი ამისი მეზარება მე! (ცოლზე ანიშნებე)

ვიდაც: ვინ ხართ ეგეთები? როდის გერევათ ტვინი, ნეტავ? როდის გივარდებათ საზიზღრობა და სიბინძურე?

ეს: ჩვეულებრივი ადამიანები ვართ... გაჭირვებული და გამწარებული... შენ ვინ ხარ, შენ?

ვიდაც: სინდისი ვარ მე თქვენი, ნამუსი ვარ... სინდისის ქეჯნა ვარ... სალი აზრი... აი, ძილის წინ შიგადაშიგ რომ შემოგეპარებათ სწორი ფიქრი – ის ვარ...

ცოლი: (სევდიანად) ძილის წინ იმდენი სწორი აზრი, იმდენი ნამდვილი ფიქრი, იმდენი ოცნება მოდის... და თურმე აი, რას ჰგავხართ... ბოდიში, აი, როგორი ყოფილხართ სინამდვილეში...

ეს: წადი, ქალო, შენ სახლში და საქმეს მიხედე, თორემ მე ვიცი თქვენი... აატრიალა თვალები, ფიქრი და ოცნება მომინდომა აქ!

ვიდაც: წადი, წადი! ეს აქ იგორავებს, ვითომ დიდ საქმეს აკეთებს, შენ თავწახრილმა იმუშავე საღამომდე...

მერე ეს რომ მოვა, გვერდებდაბრტყელებული, თბილი წყალი დაახვედრე და ფეხები დაბანე! თან ზედმეტად არ მოქმედო იმ ფეხებში, თორემ მიგთეთქვავს ერთი გემრიელად და ტახტზე გადაკოტრიალდება ვალმოხდილი – კიდევ ერთ დღესაც გადაგორებს შინაარსიანად!.. თფუი!..

ეს: მე კიდევ, სუფრა გაგუშალო და ვაქეიფო-მეთქი... თფუი!...

(სცენა ჩაბნელდება. ცოლი ლაპარაკობს, თუ ფიქრობს – გაუგებარია...)

ცოლი: ეს, ჩემო ბატონო... რომ იცოდეთ, როგორ მეზიზდება ეს ჭა... გგონიათ, რამეში მჭირდება? პირიქით, სულ პირიქით, ჩემო ბატონო! ამ ჭამ ამოატრიალა ჩემი ცხოვრება და დამაქცია თავზე... თქვენ გგონიათ, ეს სულ ასეთი იყო? ისეთი ბიჭი იყო... თბილი, ალერსიანი... თვალებში შემომციცინებდა... აი, რო მივდიოდით ასე მხარდამხარ... უცებ შეეძლო მომხვეოდა და ეკოცნა... მრცხვენოდა, ვეუბნებოდი – სირცხვილია, ხალხი რას იტყვის-შეთქი... თან მიხაროდა... ისე მიხაროდა, ისე... მინდოდა ყველას გაეგო, ყველას დაენახა, როგორ ძალიან ვუყვარდი... ფიქრი და ოცნება, ახლა რომ მიშლის, მაგის მოგონილი იყო... ერთად ვოცნებობდით... ჩემს თმებში ჩარგავდა ხოლმე თავს და იყო ასე გასუსული... მეძებდა... თვალებით მეძებდა... იქვე, ახლოსაც რომ ვყოფილიყვი, მაინც მეძებდა... და სულ ვენატრებოდი – ერთად ვიყავით, მაგრამ მაინც ვენატრებოდი... ერთად ყოფინით არ ვიდლებოდით... ვიცინოდით... რაზე ვიცინოდით – არ ვიცი... იმდენს მაცინებდა... იმდენ რამეს მიყვებოდა... ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით გაუთავებლად... გაჭირვების მეტი რა გვინახავს და რომ ვიფიქრებდი, ესაა, მორჩა ყველაფერი, ადარაფერი გვიშეველის-მეთქი, ჩამკიდებდა ხელს, მიმიკრავდა გულზე მაგრად, მაგრად და მეტყოდა: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია... ესეც გაივლის... შენ ოდონდ ნუ გეშინია..“ სულ რადაცას მჩუქნიდა, მეუბნებოდა, მე შენზე მეტად მიხარიაო... თუ სხვა ვერაფერს ნახავდა, ხიდან ლამაზ ფოთოლს

მოწყვეტდა და იმას მომიტანდა... ერთხელ ზღარბიც კი მომიყვანა, ეკლებზე სოკო ჰქონდა წამოცმული... გავაშვებინე – სახლში მიაქვს ალბათ თავის ცოლთან-მეთქი... იმ დასაქცევ დღესაც... დაბრუნდა სახლში, ჩამკიდა ხელი, წამო, წამო, რა უნდა გაჩუქოო... ვიარეთ და აქ მოვედიოთ... ამ ოხრადდასარჩენ ჭასთან... ისიც აქ იყო... ის, მეორე და იმ დღიდან დაიწყო... და ასე გრძელდება... თუ ლაპარაკობს – ამ ჭაზე ლაპარაკობს, რალაც ხვლიკებზე და ხვლიკიჭამიებზე... თუ არა და არის ჩუმად... ამ ჭაში „ჩაგრდა“ ის ჩემი თბილი და ალერსიანი ბიჭი... ამ ჭამ ჩაითრია და ჩაახრჩო... ახლა მე ვეძებ... სულ ვეძებ... მის თვალებს ვეძებ... ჩემს თავს ვეძებ ამის თვალებში... და ვერ ვპოულობ... აღარაფერი მიხარია, აღარაფერი მეხალისება... მე ხომ მაგისოვის ვიყავი – ხალისიანი, ლამაზი... ვეძებ მის თვალებში ჩემს თავს და ვერა... ვერაფერსაც ვერ ვპოულობ... ეს ხომ ჩაახრჩო და ჩაიტანა ამ დაწყევლილმა ჭამ, მეც თან ჩამიყოლა... მივყვები და მივყვები ფსკერამდე... მენანება და ვერ ვუშვებ ხელს... მენანება და... მიყვარს... ეს –არა! ეს ჭის კაცი არ მიყვარს! ამის მეშინია... არა, ამის კი არ მეშინია... ამაზე არც ვფიქრობ... იმაზე ვდარდობ... იმ ბიჭზე... ჭამდე რომ მყავდა... მიშველე, შენი ჭირიმე... შენ მაინც მიშველე რამე... ვინმემ მიშველეთ!.. (*ხერხა განათღება*)

ცოლი: მართალი ხართ, ბატონო... წავალ მე... წყალს დაგადგამ საღამოსოვის... (*გადის*)

ვიღაც: ახლა მომისმინეთ ორივემ ყურადღებით...

ეს: ვინ ორივემ? იმასაც ეუბნები? ესმის?

ვიღაც: ყურადღებით მომისმინეთ-მეთქი: ამ ჭას ერთად იხმართ, და თქვენ-თქვენ ოჯახებს მიხედავთ ორივე!

ეს: (*რაღაცის თქმას აპირებს, მავრად ის იღრიალებს იქიდან*) ვინ გაითხავს შენ, ვიიიინ??!

ვიღაც: აგე! ეგეც მე ვარ? ერთად იხმართ ჭას! და სახლებში წახვალო-მეთქი!

ეს: გემუქრები თუ რაშია საქმე?..

(ის ჩუმად ვამოდის ხაფარიდან, ჭახთან მიღის და ქვის კედლებს მოეფარება)

ვიდაც: (ჩაიცინებს) რა მუქარა მინდა თქვენთან?.. დაფიქრდით, მშვიდობიანი თანაცხოვრების გარდა გამოსავალი არ არსებობს! ადამიანები უნდა მორიგდნენ! უნდა ისწავლონ ერთმანეთისთვის ყურის გდება!

ეს: პოდა, დამიგდოს ყური და დამიჯეროს!

ვიდაც: (არ უსმებს, ავრძელებს თავისას) ჯერ ასე ცალკეული ადამიანები მორიგდებიან, მერე ცალკეული ერები, მერე სახელმწიფოები... და დამყარდება მშვიდობა!

ეს: უფ哉!.. ესე იგი, მე თუ დაგუთმობ იმას ამ ჩემს ჭას, ომი აღარ იქნება? თუ გჯერა ახლა შენ, რასაც ლაპარაკობ?

ვიდაც: მე მჯერა, რომ ადამიანებს მშვიდობიანი მოლაპარაკებით ყველაფრის მიღწევა შეუძლიათ!

ეს: ადამიანებსო, ხომ თქვი?

ვიდაც: დიახ, ადამიანებს!

ეს: პოდა, ის არის არაადამიანი!.. ახლა, სიმართლე რომ გითხრა, მეც მოლად კარგი ადამიანი არ ვარ, მაგრამ იმას კი ბევრად ვჯობივარ, თუმცა სხვა უკეთესიც ბევრია! პოდა, დაიწყე უკეთესებისგან... უფრო შეგნებულებისგან... აგერ, გვერდზე... აქვე, სულ ახლოში ვიცი, ორი ისეთი კარგი ადამიანი ხოცავს ერთმანეთს ღობის გადაწევა-გადმოწევაზე, გაგიხარდება... იქიდან დაიწყე, შენ გენაცვალე...

ვიდაც: ვინ ხართ, კაცო, თქვენ? რა ჯანდაბა გჭირო? ყველანი ასეთები ხართ გარშემო?

ეს: არა, რატომ... გამონაკლისებიც არიან... აი, ახლა არ გეუბნებოდი? აგერ, ამ გზას რომ გაჰყვე...

ვიდაც: (მოთმინებას კარგავს) ჭაა მიზეზი, ხომ? ჭაა ვერ იყოფო, არა? ახლა მე მიყურეთ...

ეს: არ გეკადრება შენ ასეთი ლაპარაკი... მოგარიგოთო და... რას გვერჩი? მშვიდობის დასამყარებლად არ გამომეცხადე აქ?

უცხობი ჭისეკებ მიტრიალდება და ჩქარი ნაბიჯით მიდის. ძველ ოწინარს წიხლს მიარცხამს, წააქვევს. ოწინარი ჭაა დაუცემა. უცხობი გაუჩინარდება. ჭის უკან დამალული ი ს ქვებისგროვაში მოყვება.

- ე საშველად მიუარდება, ქვებიდან გაათავისუფლებს.
- ეს:** ნუ გეშინია, ნუ გეშინია! ყველაფერი კარგად იქნება! მაჩვენე, აბა... (*უთვალიურებს ხელ-ფეხს*) არაფერია, გადარჩი... ეს ვინ ყოფილა... რა ქნა, ვირიშვილმა ხედავ? ვითომ მშვიდობის მტრედი ეგა!
- ის:** ეს რა გვიქნა... რა გააკეთა! ამას რაღა ეშველება ახლა?
- ეს:** ჭაზე ამბობ? არაუშავს, ამოვწმენდო, გავასუფთავებოთ... იწყებს ქვების გადაგორებას. ი ს ეხმარება...
- ეს:** არადა... ერთი პირობა ვიფიქრე, რამე ჭკვიანურს იტყვის-მეთქი...
- ის:** იმ ტიპზე ამბობ? მეც ეგრე მეგონა... თავიდან სწორ რაღაცებს ამბობდა... მშვიდობიანი თანაცხოვრებაო და ეგეთები...
- ეს:** ჰო... კარგად დაიწყო... ვინ იყო, რა ჯანდაბა უნდოდა... გიურ იყო ვიღაცა... ცოტა გიურ დადის ამქეუქნად? მოიცა, სისხლი მოგდის... ჭრილობას შეგიხვევ... (*აპირებს აერანგიდან ჩამოიხიოს ნაჭერი*)
- ის:** არ გინდა, არა!... დიდი არაფერია... რა ბევრი ტანსაცმელი შენ გაქვს... აგერ, ჩემი პერანგით შევიხვევ... მაინც დახეულია...
- ეს:** მოიცა, კაცო! რა სალაპარაკო ეს არის... (*ჩამოიხვევს სახელოს და ძკლავს გადაუხვევებს*)
- ი ს ჯიბიდან პაპიროსს ამოიღებს და ე ს-ს მიაწოდებს.
- ეს:** უა! აშენდა შენი ოჯახი! რა სახია აღარ მომიწევია... გამითავდა და... (*ი ს კოლოფიდან პაპიროსს უნაწილენებს*)
- ეს:** არ გინდა, არ გინდა...
- ის:** კაი, რა სალაპარაკო ეგა...
უხმოდ ეწევიან.
- ის:** (*შეხტება, ფეხს გაიქვებს*) ხელიკი! ვერ ვიტან ხვლიკებს!
- ეს:** ეგ ჩემი ხვლიკია! არაფერს დაგიშავებს! მაგან მაპოვნინა ეს ჭა.
- ის:** ჰო, მეც... იმ ქვებზე იჯდა და ისე ბრჭყვიალებდა მზეზე, მეგონა ავშენდი, ოქროს ზოდი ვიპოვე-მეთქი... ახლოს

მივედი, გადასრიალდა და ეს ჭა დავინახე... ფუჟ! მაშინაც
გული გამიხეოქა...

ეს: ხვლიკმა როგორ შეგაშინა... რას დაგიშავებდა?

ის: რა უნდა დამიშავოს? მეზიზღება უბრალოდ... „შენი
ხვლიკი“ რას ნიშნავს?

ეს: რას და... იმ ქაზე უყვარს ყოფნა... მზეს ეფიცხებახოლმე...
როგორც კი მოვალ, გამოძერება და აბობდება იმ
ქაზე... ის თრი ფრინველი ჰყავს გადაკიდებული...
მეხვლიკებს ვებახი მე!.. ახლაც, ხედავ? სხედან ხეზე
და მომენტს ელოდებიან, რომელი დაითრევს... (ქას
ესვრის, ფრინველები გაფრინდებიან, მაგრამ მალევე
ძრუხდებიან უკან) ეს კიდევ (ხვლიკზე ამბობს), თუ
გვერდზე ვებულები, იმათ არც ერიდება – იცის, მე
დავიცავ!

ის: ხვლიკი მოაშინაურე?

ეს: (იცინის) გამოვზარდე! თუ გავზარდე? არა! შვილი
გავზარდე და ხვლიკი გამოვზარდე! თუ როგორ
იძოდიალა იმან? აღარ მასსოვს...

ის: მოაშინაურე... იმის „მოშინაურება“ კი არ გამოგიყიდა...

ეს: ჰო, არ გამომივიდა (იცინიან)... რანაირი ვიდაცა იყო?..

ის: აწყობილი აქვს, ეტყობა, ცხოვრება, სხვისი საქმეების
მოგარებაზე რომად გადასული, ჩანს, სადარდებელი
არაფერი აქვს...

ეს: ეტყობა! არაფერი ანაღვლებს... საქმე გამოლევია!

ის: ჰო... ან გიუი იყო ვიდაცა...

ეს: ჰო, უფრო გიუი!.. კი, გიუი იყო ნამდვილად! რას
გვერჩოდა...

ის: ბეწვზე გადავრჩი!

ეს: ბეწვზე გადარჩი, კი!..

ის: აბა... (ჭას ათვალიერებებს) აქ ხელით ვეღარაფერს
გავხდებით... ნიჩაბი დაგვჭირდება...

ეს: ჰო, იარაღი დაგვჭირდება...

ის: ცოლს რატომ ერჩიო...

ეს: შენც გითხრა?

ის: ჰო! ვინ ჰკითხავს?.. ჩვენსავით გაჭირვებაში რომ
ამოხდიოდეთ სული, ვნახავდი, ერთი, ცოლ-შვილს
როგორ მოექცეოდნენ...

- ეს:** პო... დღე და დამე თავის გადარჩენაზე რომ გიწევს ფიქრი, კიდევ ვიდაცისთვის კოჭის გორებას ვეღარ მოახერხებ... ისევ ის ბიჭი ვეღარ იქნები... ვერც ის იქნება „ის გოგო“...
- ის:** ვერა, ვერა... არადა... რა გოგო იყო!
- ეს:** პო! კისკისა და ხალისიანი...
- ის:** აბა?! თვალებში სულ ვარსკვლავები უბრწყინავდა...
- ეს:** რო ჩამოივლიდა, არა? აი აქ, რო არ ჩამწყდებოდა რალაცა... სუნთქვა შემტევებოდა-ხოლმე...
- ის:** რას არ ვიზამდი, ოღონძ შემოეხედა...
- ეს:** თავს უკან გადააგდებდა ხოლმე და ისე, რალაცნაირად, გვერდულად იცინოდა...
- ის:** მინდვრის ყვავილების სუნი პქონდა თმებზე...
- ეს:** პო... ახლადმოთიბული ბალახის და მინდვრის ყვავილების სუნი...
- ის:** ვისხე ამბობ მაგას? (ფითომ ეჭვიანობს)
- ეს:** შენა? (იცინის, მხარს უბამს) ჩემსაზე ვამბობ, ჩემსაზე... ასე მგონია, სხვა ცხოვრებაში იყო ეს ყველაფერი... (ჭახ გახდავს) არ დაილევა... მღვრიეა... დრო უნდა, რომ დაიწმინდოს...
- ის:** ეგ ისედაც არ დაილეოდა... მოიცა... (თავის „სანგრისკებუ“ მიღის, გზად ძირს დაგდებულ თოვს და დახას შენიშვავს... ჩაუვლის, წყლიან დოქს აიღებს, იხევ დახედავს იარაღს, დოქს მიაწვდის ი b-b)
- ეს:** პოო... სადარდებული და საფიქრალი რომ არ იყოს, გაჭირვება რომ არ იყოს, რა გვექნებოდა გასაყოფა? ჭირს ცხოვრება, ჭირს... ჩემს ოჯახს კიდევ გაუმართლა – აგერ, ჭა მაინც გვაქვს... სხვებმა იკითხონ...
- ის:** ზოგი დოვლათში ბანაობს (უცნობის მიმართულებით გაიქვებს თავს) და სხვების ჭკუის სწავლებით ერთობა... რა გუყოთ... მე ბევრი არ მინდა – იმითაც კმაყოფილი ვარ, ეს გაუბედურებული ჭა რომ მარგუნა ღმერთმა...
- ეს:** აღარ დალევ?
- ის:** არა, მადლობელი ვარ შენი ყველაფრისთვის...
- ეს:** წავიდებ, მაშინ ჩრდილში დავდგამ, არ გათბეს... სანამ ჩემს ჭაში წყალი დაიწმინდება, შორიდან მომიწევს ზიდვა...

- ის:** ჰო... საქმე დამემატა – ჭა ამოსაშენებელი გამიხდა...
- ეს:** არ მინდა დახმარება, ჩემით ამოვაშენება...
- ის:** დიდი მადლობა, მაგრამ ჩემს ჭას სხვას რატომ ამოვაშენებინება?
- ეს:** არ ეშვები, არა, შენსას?
- ის:** რას დაიჩემე – ჩემია, ჩემიაო... ვეღარ უნდა გაიგო? ჩემია ეს ჭა და თუ გინდა, ერთად ვიხმაროთ...
- ეს:** შენი სამათხოვრო რა მჭირს? ჩემს ქონებას მამადლი? ჩემია-მეთქი ჭა და წყალი არ მენანება არავისთვის!
- ის:** ისევ მოეთრა ეს საზიზდარი ხვლიკი!
- ეს:** ხვლიკია, ძმაო! თავის ტერიტორიაზე, უნდა წავა, უნდა მოვა!
- ის:** (*ვეხს მოუქნევხ*) დღეს არა, ხვალ რომელიმეს ლუპმა გახდება... და შეარგოთ დამერთმა!
- ეს:** სანამ მე აქ ვარ, არავის ლუპმა არ გახდება, ეს კარგად იცოდე!
- ის:** მე რა უნდა ვიცოდე, ფეხებზე არ მკიდია ეგ შენი ხვლიკი?
- ეს:** მე ეგ შენი ხვლიკიჭამიები მკიდია ფეხებზე!
- ის:** მაგათი დედაც არ ვატირე? ხვლიკს რო შეჭამ, რა უნდა იყო?.. მაგრამ ხვლიკი რო ხარ? (*იცინის*)
- ეს:** შეშვი-მეთქი ჩემს ხვლიკა!
- ის:** მე შეშვებული ვარ, ძმაო... ისინი არ ეშვებიან!
- ეს:** იმათ მე მოვუვლი!
- ის:** ჰა-ჰა! ხვლიკიჭამიებს მოუვლის! მიდი, დაელაპარაკე და მოარიგე!
- ეს:** მორიგება მე ეგეთი ვიცი! (*თოვს დახტაცებს ხელს და ხვლიკიჭამიებს უმიზნებს*)
- ის:** (*თავისთვის*) ეგენი კი არა, აი, ეს უნდა დაბრიდო და მერე ეგენი თავისით გაქრებიან აქედან... (*თოვს გადმოიღებს და ხვლიკს უმიზნებს ერთდროულად გაისვრიან*)
- ეს:** ვის ესვრი, ბიჭო?! (*ხვლიკი*) გადი, გადი!.. ბედი შენი, ააცილე! თუმცა, კი ვიცოდი, რა მსროლელიც იყავი!
- ის:** შენ ხო რას ამბობ – ტყვიას ტყვიაში აჯენ!
- ეს:** შენ მაინც გჯობივარ!
- ის:** რით მჯობიხარ, ვითომ?

ეს: ჭა მაქას საკუთარი და იმით!

ის: ჩემს ჭაზე ამბობ?

ეს: ისევ დაიწყე? ჩემია-მეთქი და იხმარე შენც, არ გიშლი!

მეტი კარგი სიტყვა რა გინდა?

ის: არა-მეთქი... არ დაგიოთმობ!

ეს: მემუქრები? შენ მე მემუქრები? ვნახოთ, ვისი
აჯობებს...

ის: ვნახოთ, ვნახოთ...

ნელ-ნელა უკან იხევვნ, თავიანთი სანგრებისკენ, ზერგ
თავ-თავიანთ იარაღს მისცვივდებიან და ისევ იწყება
უძისამართო ხროლა. ისევ წამიერად ლურჯად
განათდება და ჭის დარჩენილი ნაწილიც დაიხვრევა.
მტვერსა და ბუღა ხადღაც ქვების გროვას სინათლის
ხეივი გაანათებს. ხვლიკი აბრგუვიალდება.

დასასრული